ოქმი:**ო37. 3725148001**

თარიღი:**28/05/2025**

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2025 წელი, 22 მაისი

ქ. ოზურგეთი

16:00- 16:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 14 მარტის N4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ- განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. ქალაქ ოზურგეთში, დავით აღმაშენელის ქუჩაზე(საკ.კ.26.26.55.164) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

5. ქალაქ ოზურგეთში, აპოლონ წულაძის ქუჩაზე(საკ.კ.26.28.47.006) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

6. დაბა ურეკში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე(საკ.კ.26.26.17.006) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1.ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,3,4,5,6 საკითხი განხილვისა საკრებულოს მორიგი სხდომისათვის დასკვნების წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

2. N 2 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, ცნობად იქნას მიღებული, რომ საკრებულოს დარგობრივ კომისიას(გ. ჩავლეშვილი), საკითხი განხილული და შესაბამისი დასკვნა წარმოდგენილი აქვს.

3. N 7 საკითხი განსახიველად დაეწეროს საკრებულოს ყველა დარგობრივ კომისიას.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი